სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №5
2017 წლის 21 დეკემბერი

ქ. სიღნაღი

,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 16 ივნისის №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 16 ივნისის №14 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/06/2017, 270070000.35.168.016212) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №1

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგოების განაკვეთები (ლარობით)
1	საკრებულოს თავმჯდომარე	2650
2	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1800
3	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე, საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1500
4	საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საკრებულოს აპარატის უფროსი (I რანგი)	1500
5	საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, განყოფილების უფროსი (II რანგი)	1200
6	საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (III რანგი)	900
7	საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, (III რანგი)	700

2. დანართი №2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №2

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხა

№	თანამდებობის დასახელება	რაოდენობა

1	საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი , საკრებულოს აპარატის უფროსი (I რანგი)	1
2	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში (III რანგი)	1
3	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში (III რანგი)	1
	საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეული, საორგანიზაციო განყოფილება	
1	საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი , საორგანიზაციო განყოფილების უფროსი (II რანგი)	1
2	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში (III რანგი)	1
3	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში (III რანგი)	1
4	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ფილოლოგი) (III რანგი)	1
5	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ტექნიკურ საკითხებში (III რანგი)	1
	მეორადი სტრუქტურული ერთეული, მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილება	
1	საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი (II რანგი)	1
2	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში (III რანგი)	1
3	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში (III რანგი)	1
	სულ:	11

მუხლი 2
დადგენილება, გარდა პირველი მუხლის პირველი პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
მუხლი 3
დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტი ძალაში შევიდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ილია ხატიაშვილი**